ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1128924

ნომერი: AR1194102

თარიღი : 31.01.2014

გაცემის თარიღი : 21.02.2014

გაცნობის თარიღი : 02.03.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ აბესლამიძე პ/ნ 61006002936
- ქ. ბათუმი გ. ტაბიძის ქუჩა N33 ბ.9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

მერაბ აბესლამიძის 01/31/2014წ. #AR1194102 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 01/31/2014წ. #AR1194102 განცხადებით

მომართეს შპს „სავარძელის“ დირექტორმა – მერაბ აბესლამიძემ მოითხოვა სამსახურის 11.05.2010წ. #01/923 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

მოგვიანებით, 02/12/2014წ. სამსახურს ამავე განცხადებაზე შეტყობინებით მომართა მერაბ აბესლამიძემ და მოითხოვა 01/31/2014წ. #AR1194102 განცხადების განუხილველად დატოვება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, განცხადების შინაარსი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს. 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს მოთხოვნას. ვინაიდან, განმცხადებელმა უარი თქვა მოთხოვნაზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება მერაბ აბესლამიძის 01/31/2014წ. #AR1194102 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის, VI თავის, 78-ე და 83-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ნ ე ბ:

1.განუხილველი დარჩეს მერაბ აბესლამიძის 01/31/2014წ. #AR1194102 განცხადება;

2.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში.
